



AK AIR GEORGIA

მის.: ქ. მცხეთა, სოფ. ნატახტარი / Add.: Village Natakhtari, Mtskheta, Georgia / მობ./Mob.: + 995 574 710 710

№ 23/02-2022 გ

30 სექტემბერი 2023

ამასთან წარმოგიდგენთ შპს „აკ ეარ ჯორჯია (სკ436041061)“-ს 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.



იგორ აფციაური

დირექტორი

შპს „აკ ეარ ჯორჯია“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოგება-ზარალის ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

შპს „აკ ეარ ჯორჯია“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფინანსური მდგომარეობა (ლარი)

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	4,943,319	4,613,167
არამატერიალური აქტივები	-	-
სულ ძირითადი საშუალებები	4,943,319	4,613,167
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	400,895	552,768
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,990,653	2,154,413
ფული და ფულის ეკვივალენტები	45,207	76,855
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისღები შემოსავალი	132,637	-
სულ მოკლევადიანი აქტივები	2,569,392	2,784,036
სულ აქტივები	7,512,711	7,397,203
ვალდებულებები და კაპიტალი		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2,454,836	2,454,836
გაუნაწილებელი მოგება	-613,642	-79,027
სულ კაპიტალი	1,841,194	2,375,809
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	2,866,900	3,666,301
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2,866,900	3,666,301
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	1,221,340	31,375
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	90,183	15,668
საგადასახადო ვალდებულება	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,493,094	1,308,050
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2,804,617	1,355,093
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	7,512,711	7,397,203

შპს „აკ ეარ ჯორჯია“-ს დირექტორი /იგორ აფციაური/

ფინანსური მენეჯერი /ი. მღებრიშვილი/




ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები (ლარი)

შემოსავალი	31-12-2022	31-12- 2021
შემოსავალი ძირითადი მომსახურების გაწევიდან	8,825,291	6,936,057
გაყიდული მომსახურების თვითღირებულება	-7,380,792	-5,970,102
საერთო მოგება	1,444,499	965,955

გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	31-12-2022	31-12- 2021
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-1,691,631	-964,839
საოპერაციო მოგება/ზარალი	-247,132	1,116

	31-12-2022	31-12- 2021
ფინანსური ხარჯი	-315,485	-687,999
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო	387,820	306,670
სხვა შემოსავალი (ხარჯები), ნეტო	-205,143	269,044
წინა წლის კორექტირება	-154,677	
მოგება დაბეგვრამდე	-534,617	-111,169

შპს „აკ ეარ ჯორჯია“-ს დირექტორი /იგორ აფციაური/
ფინანსური მენეჯერი /ი. მღებრიშვილი/




შპს „აკ ეარ ჯორჯია“-ს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი სახსრები 2022 წლის 01 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი

ფული და ფულის ექვივალენტები 2022 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31-12-2022	31-12-2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	-534,617	-111,169
ცვეთა და ამორტიზაცია	431,512	391,558
დარიცხული საპროცენტო ხარჯი		687,999
საკურსო სხვაობის გადაფასების ეფექტი		-306,670
ფულადი ნაკადის გადინება საოპერაციო საქმიანობიდან	-103,105	661,718
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-4,550	356,006
მარაგები	151,873	-520,748
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	327,361	-178,198
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	-21,566	
გადახდილი ავანსები და მისაღები დარიცხული შემოსავალი	35,673	
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან	385,686	318,778
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებები	-761,664	-730,018
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	-761,664	-730,018
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან :		
სესხების მიღება	344,329	1,009,680
სესხების გადახდა		-1,087,649
ფულადი ნაკადის წმინდა შემოდინება ფინანსური საქმიანობიდან	344,329	-77,969
წმინდა ზრდა (შემცირება) ფულსა და ფულის ექვივალენტში	-31,649	-489,209
ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის დასაწყისში	76,856	259,395
საკურსო სხვაობის გადაფასების ეფექტი	0	306,670
ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	45,207	76,856

შპს „აკ ეარ ჯორჯია“-ს დირექტორი /იგორ აფციაური/

ფინანსური მენეჯერი /ი. მღებრიშვილი/



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
კაპიტალის ცვლილების ანგარიში

შპს „აკ-ეარ ჯორჯია“-ის 2022 წლის 1 იანვრიდან – 2022 წლის 31 ჩათვლით პერიოდის
მდგომარეობით კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში (საანგარიგებო ვალუტას
წარმოადგენს – ლარი):

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
1 იანვარი 2022	2,454,836	-79,027	-	2,375,809
გაცემული დივიდენდები მიმ წელს	-	-	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი მიმდ წლის	-	-534,616	-	-534,616
31 დეკემბერი 2022	2,454,836	-613,643	0	1,841,193

შპს „აკ-ეარ ჯორჯია“-ს დირექტორი /იგორ აფციაური/
ფინანსური მენეჯერი /ი. მღებრიშვილი/




ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ძირითადი საშუალებები 2022 წლის 01 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

ძირითადი საშუალებები 2022 წლის 31 დეკემბრისთვის და 1-ლი იანვრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მანქანა - დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ნაშთი 01.01.2022	1,872,322	20,423	3,867,916	5,760,661
შემოსვლა	359,740	4,809	397,114	761,663
გასვლა	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2022	2,232,062	25,232	4,265,030	6,522,324

დაგროვილი ცვეთა

დაგროვილი ცვეთა 01.01.2022	(462,319.00)	(7,941.00)	(677,233.00)	(1,147,493.00)
ცვეთა წლის განმავლობაში	(182,393.00)	(2,831.00)	(246,288.00)	(431,512.00)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	(644,712.00)	(10,772.00)	(923,521.00)	(1,579,005.00)

ნეტო საბალანსო ღირებულება:

ნეტო საბალანსო ღირებულება 01.01.2022	1,410,003.00	12,482.00	3,190,683.00	4,613,168.00
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2022	1,587,350.00	14,460.00	3,341,509.00	4,943,319.00

შპს „აკ ეარ ჯორჯია“-ს დირექტორი /იგორ აფციაური/
ფინანსური მენეჯერი /ი. მღებრიშვილი/




შპს „აკ ეარ ჯორჯია“-ს

2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ:

სახელმწიფო რეგისტრაცია:

სახელმწიფო რეგისტრაცია

შ.პ.ს. „აკ ეარ ჯორჯია“-ს სახელმწიფო რეგისტრაცია გავლილი აქვს 2017 წლის 13 ივლისს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 436041061; კომპანიაში 2018 წლის 26 დეკემბერს მოხდა დამფუძნებლების ცვლილება.

საზოგადოების დამფუძნებლები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან:

1. შპს WINGS4SKY GROUP SIA (ლატვია)	-20 %
2. კონსტანტინს სოლოდუხა (ლატვია) 050168-10503 (LZ4067047)	- 20%
3. მაიკლ ფეოფანოვ (ორმაგი, ბელარუსი/საქართველო) 0601133944	- 5%
4. მარლიეს სოლოდუხა (ორმაგი, კუბა/საქართველო) 01801137789	-5%
5. ირაკლი კუტალია (პნ62001019316)	-1%
6. ამირან მანჯავიძე (პნ 01007001797)	-49%

ფურიდიული მისამართი: საქართველო, მცხეთის რაიონი , სოფელი ნატახტარი (აეროდრომი).

ორგანიზაციის დირექტორი: იგორ აფციაური პირადი ნომერი 01031001173

ორგანიზაციის საქმიანობის სახე: საავიაციო საქმიანობა, მათ შორის მგზავრების და ტვირთების საჰაერო ავიაგადაყვანა-გადაზიდვა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საქმიანობა, საჰაერო ხომალდების ექსპლუატაცია.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები , რომელიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

ანგარიშგების მომზადების და წარგენის საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბუთს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში „მსს ფასს“). ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას უახლოეს საპროგნოზო მომავალშიც გააგრძელებს, არ აპირებს და არ საჭიროებს ლიკვიდაციას. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის არსებით უარყოფით გავლენას კომპანიის საქმიანობის

უწყვეტობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში-ლარში, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას. უცხოური ვალუტა აღიარებულია ოპერაციის განხორციელების თარიღით არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. საკურსო სხვაობები აღიარებულია სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯში.

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში -ლარში, რომელიც წარმოადგენს საანგარიშო ვალუტას:

შემოსავალი

2022 წლის შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-12-2022
შემოსავალი მზა პროდუქციიდან	
შემოსავალი ძირითადი მომსახურების გაწევიდან	8,825,037
შემოსავალი სხვა საქმიანობიდან	254
საპროცენტო შემოსავალი	19,143
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	489,027
სულ შემოსავალი	9,333,461

2022 წლის რ. 3. თ. წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მზა პროდუქციის თვითღირებულება	31-12-2022
გაყიდული მომსახურების თვითღირებულება	7,041,870
პირდაპირი ხელფასი	338,922
სულ თვითღირებულება	7,380,792

2022 წლის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	31-12-2022
იჯარის ხარჯები	23,729
ცვეთა და ამორტიზაცია	431,512
მივლინებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები	58,369
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	6,500
ქონების გადასახდის ხარჯი	25,688
საკანცელარიო ხარჯი	592
შეკეთების ხარჯები	302
საკომუნიკაციო, კომპიუტერის და სამეურნეო ხარჯი	833
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	1,144,107
	1,691,632

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი

ფული და ფულის ექვივალენტები 2022 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31-12-2022	31-12- 2021
ფული სალაროში	41,104	72,968
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, ლარში	2158	24
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, უცხოურ ვალუტაში	1,945	3,863
	45,207	76,855

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	1/1/2022	31-12- 2022
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	2,154,413	1,990,653
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები		132,637
	2,154,413	2,123,290

საწარმოო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით

	1/1/2022	31-12- 2022
ფინანსური მოთხოვნები:		
სავაჭრო ვალდებულებები	1,153,449	1,456,142
გადასახდელი გადასახადები	12,294	36,952
გადასახდელი დივიდენდები		
ჯამი	1,165,743	1,493,094

ბანკის და სხვა სესხები

მოკლევადიანი		
ძირი	77,610	1,212,548
პროცენტი		8,791
	77610	1,221,339
გრძელვადიანი		
ძირი	3,666,301	2,866,901
ჯამი	3,666,301	2,866,901

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

ძირითადი აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ასახულია საბალანსო ღირებულებით, თვითღირებულებას - დაგროვილი ცვეთა. ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს: მისი ნასყიდობის ფასს, ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად კომპანიის მიერ დასახული მიზნებისათვის. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 10–30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები კომპანიას არ გააჩნია.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი, აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სესხი

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. სესხის ღირებულებაში არ აისახება მის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯი (მაგალითად გაცემის საკომისიო). სესხები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში აღებული სესხები გადაფასდება წლის ბოლოს, სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში. კომპანიას ერიცხება სს „ბანკი ქართუ“-ს გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება, სესხის ხელშეკრულება # 13/03-14-C16. კომპანიას ასევე ერიცხება დოკუმენტალური ვალდებულებები სს ბანკი ქართუს მიმართ, რომლებიც აღრიცხულია ბალანსგარეშე ანგარიშებზე (გრძელვადიანი საბანკო გარანტიები)

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

ამონაგები

ამონაგები საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით დაბრუნებების, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯი

არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯის აღიარება ხდება გაწევისთანავე, დარიცხვის პრინციპის შესაბამისად.

სახელფასო განაცემი

ხელფასები ექვემდებარება დარიცხვის იმავე პერიოდში რომელშიც თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ის იქნა გაწეულ.

ფინანსური იჯარის ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას 2021 წლის 30 მარტს გაფორმებული აქვს სს თიბის ლიზინგთან სალიზინგო ხელშეკრულება LGA-99716, 500 000 აშშ დოლარის ოდენობით, ლიზინგის მთლიანი ფასი არის 1 125 830,42 აშშ დოლარი საიდანაც დღე არის 171 736,84 აშშ დოლარი. ხელშეკრულების ხანგრძლივობის ვადა შეადგენს 60 თვეს.

ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია 1 ხელშეკრულება საოფისე ფართის იჯარაზე.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში რომელშიც ისინი გამოცხადდა/ება და დამტკიცდა/ება.

ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებას ცვეთა ერიცხება ნაშთის შემცირებადი მეთოდის შესაბამისად.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდის გატანის საანგარიშგებო თვეში. სქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა).

პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარეცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

სესხის გაცემა ურთიერთ დამოკიდებულ პირებზე	31 დეკემბერი 2022წ	01 იანვარი 2022წ
შპს სერვისეარ ჰოლდინგი	0,00 ევრო	43995 ევრო
შპს სერვისეარ ჰოლდინგი	6196 აშშ დოლარი	75608 აშშ დოლარი
შპს სერვისეარ ჰოლდინგი	-	-
ამირან მანჯავიშვი (დამფუძნებელი)	-	20389 ლარი
ირაკლი კუტალია (დირექტორი)	-	1200 აშშ დოლარი

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ კომპანიაში არ მომხდარა ისეთი მოვლენა 2022 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, რომელიც იქონიებს მნიშვნელობას წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ერთადერთი მოვლენა ცვლილებისა არის პარტნიორების ცვლილება.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 27 სექტემბერს;

შპს „აკ ეარ ჯორჯია“-ს დირექტორი იგორ აფციაური

